თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 80

„06“ აგვისტო 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პაატა გიორგობიანის ანგარიშის მოსმენა ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-17 მუხლის მესამე პუნქტის შესაბამისად,

1. მიღებულ იქნეს ცნობად თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პაატა გიორგობიანის ანგარიში ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პაატა გიორგობიანის ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარის პაატა გიორგობიანის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ

ერთი წელი გავიდა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიდან. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და პირადად ჩემთვის, როგორც საკრებულოს თავმჯდომარისათვის, ეს პერიოდი განსაკუთრებულია იმითაც, რომ მიმდინარე საქმიანობის წარმართვა მოგვიწია თვითმმართველობის რეფორმის პრაქტიკულად განხორციელების პირობებში, როცა თელავის მუნიციპალიტეტის ბაზაზე ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული ჩამოყალიბდა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ახლად არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმის კეთება პრაქტიკულად ახლიდან მოუწია. უფრო მეტიც, დღემდე საკრებულოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის საოფისე შენობაც კი არ გააჩნია.

არც თუ ისე დიდი დროა გასული, რაც ახლად არჩეული საკრებულო თავისი უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა, მაგრამ ჩვენს მიერ გაწეული საქმიანობა უკვე გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ობიექტურად შევაფასოთ პირველი შედეგები.

წინა საკრებულოსგან განსხვავებით, სადაც ნაციონალური მოძრაობის ერთპარტიული შემადგენლობა იყო, ამჟამად თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 32 დეპუტატიდან თითქმის 40% ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები არიან. მიუხედავად ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა, თავს უფლებას მივცემ განვაცხადო, რომ შევძელით ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში დაგვემკვიდრებინა კონსტრუქციული პაექრობისა და საერთო პრობლემების მიმართ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ატმოსფერო.

მუშაობის განვლილ პერიოდში ჩატარებულია საკრებულოს ბიუროს 26 სხდომა და საკრებულოს 25 სხდომა, მათ შორის: 16 გეგმიური და 9 რიგგარეშე. მიღებულია 98 დადგენილება და 149 განკარდულება. საკრებულოს მიერ სხდომაზე განსახილველად ინიცირებულია 23 დადგენილებისა და 69 განკარგულების პროექტი, ხოლო დანარჩენი საკითხები მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ არის

ინიცირებული. ცხარე დებატების პირობებში მოგვიწია მუნიციპალიტეტის სტრუქტურის - გამგეობის სამსახურების, ააიპ-ების, შ.პ.ს. მათი დებულებისა და წესდებების, საშტატო ერთეულების, მათი სახელფასო განაკვეთებისა და ამ პრობლემებთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვა და დამტკიცება. მნიშვნელოვანი იყო საკრებულოს აპარატში იურიდიული განყოფილების შექმნა. კვალიფიციური იურისტების დასკვნების საფუძველზე, საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებები და განკარგულებები სრულად შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ საკრებულოს აპარატის ყველა თანამშრომელმა წარმატებით გაიარა საჯარო მოხელეთა ატესტაცია და გასაუბრება.

საკრებულოს მუდმივი კონტროლი აქვს დაწესებული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის მიმდინარეობაზე. 2015 წლის ბიუჯეტი წლის დასაწყისისათვის დამტკიცებული 6.503.00 ლარიდან სხვადასხვა შემოსულობების ხარჯზე 10.804400 ლარამდე გაიზარდა. ეს მოხდა როგორც ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლიდან, რომელმაც ექვსი თვის მანძილზე შეადგინა 532.080 ათასი ლარი. ასევე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროგრამებით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N39 „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულების საფუძველზე, თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2.858.736 ათასი ლარი. ამავე პერიოდში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N506 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტს გამოეყო 911.070 ათასი ლარი. მიმდინარე ექვსი თვის საბიუჯეტო პარამეტრები თითქმის ყველა მიმართულებით შესრულებულია. სწორედ ამან განაპირობა, რომ თითქმის საკრებულოს ყველა სდხომაზე ბიუჯეტში და მის ცალკეულ მუხლებში შესატან ცვლილებებზე გვიწევდა მსჯელობა,

განხილული საკითხები ეხებოდა ადგილობრივი გადასახადების შემოღებას, მიწის სავარგულების ნორმატიული ფასების განსაზღვრას, სოციალური პროგრამების დამტკიცებას, საკრებულოს მუდმივი კომისიებისა და ფრაქციების მიერ ინიცირებულ საკითხებს და სხვა.

საკრებულოს მიერ განხილულ საკითხთა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შორის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი იყო მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და განვითარების სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის ძირითადი პრიორიტეტების დამტკიცება. ამ საკითხის განხილვას წინ უსწრებდა თითოეულ სოფელში კომისიური წესით ამ მხრივ არსებული ვითარების

გულდასმით შესწავლა და ადგილობრივი მოსახლეობის უშუალო მონაწილეობით იმ პრიორიტეტების განსაზღვრა, რომელთა განხორციელებაც პირველი რიგის ამოცანად იქნა მიჩნეული. სწორედ ამ მიზნით წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით ყველა სოფელში მოეწყო საკრებულოს წევრთა და მუნიციპალიტეტის გამგეობის პასუხისმგებელი პირების შეხვედრები მოსახლეობასთან. შეიქმნა საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი დეპუტატ გ.გორთამაშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც თითოეულ სოფელში არსებულ საზოგადოებრივ საბჭოებთან ერთად ამ საკითხის დეტალურად შესწავლის შედეგად წარმოეჩინა რეალური სურათი, თუ რა მძიმე სოციალური და ეკონომიკური მემკვიდრეობა გვერგო წილად. საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ გამოვლენილ პრობლემებზე ვრცლად არ შევჩერდები, რადგან ამის შესახებ რამდენჯერმე გვქონდა დეტალური მსჯელობა საკრებულოს სხდომებზე და მოსახლეობაც სათანადოდ არის ინფორმირებული.

დამოუკიდებლობის პირველი წლებიდან დაწყებული, შემდგომში შევარდნაძის ხელისუფლების დროს სახელმწიფო ქონების გაუკუღმათებულ პრივატიზაციას საბოლოო დაღი ნაციონალურმა ხელისუფლებამ დაუსვა, რომელმაც სოფლებს სტატუსი გააუქმა და სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწის სავარგულები, სამრეწველო და სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტები ნაციონალური მოძრაობის შეხედულებებით გადანაწილდა. მეტად დასანანი ფაქტია, რომ ზოგიერთი სოფლის - მაგალითად: ჯუღაანის, ართანის, წინანდლის, აკურისა და სხვა სოფლების ათას ჰექტარზე მეტი ყველაზე ნაყოფიერი მიწის სავარგულები, რაც სარეზერვოდ იყო გათვალისწინებული, მომავალში საკარმიდამო ნაკვეთების გასაცემად, უცხოელების საკუთრებაში აღმოჩნდა, სადაც მათ აქტიური ბინათმშენებლობაც კი გააჩაღეს ეს მაშინ, როცა ბოლო 20-25 წლის პერიოდში დაბადებული ჩვენი სოფლების ახალგაზრდობისათვის სამოსახლო ადგილების გამონახვა მნიშვნელოვნად გაძნელდა, რამაც მეტად უარყოფითად იმოქმედა დემოგრაფიულ პრობლემებზე.განადგურებულია ისტორიული ძეგლები, მნიშვნელოვანი წარმოებები, ასობით ფაქტია მოსახლეობის შევიწროების, პატიმრობის, ქონების წართმევის.

სამწუხაროდ ამ პრობლემების მოსაგვარებლად ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა იმდენად ლიბერალურია, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას ადრე დაშვებული დარღვევების გამოსასწორებლად თითქმის არაფერი შეუძლია. ამ მიმართულ;ებით მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტად იქცა ე.წ. „კოჰაბიტაციის“ პროცესი, რამაც სერიოზული სამართლებრივი დარღვევების მიმართაც კი შემგუებლური ვითარების შექმნა განაპირობა. სწორედ ამის გამოა, რომ ჩვენს მიერ შესაბამისი ორგანოების წინაშე დაყენებული საკითხები და მოსახლეობის მიერ გაგზავნილი კოლექტიური საჩივრების უმრავლესობა დღემდე რეაგირების გარეშეა დატოვებული. რაც ყველაზე დიდ პრობლემად რჩება დღემდე.

სერიოზულ სიძნელეებს ვაწყდებით აგრეთვე დღემდე მოქმედი ისეთი გაუგებარი ნორმატიული აქტების გამო, როგორიცაა მაგალითად: ინერტული სამშენებლო მასალების მოპოვება, რეალიზაცია, ტყეებიდან შეშის დროულად გამოტანა და სხვა, საჭიროა წესების გამარტივება

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ძირითად პრიორიტეტებად მიჩნეულ იქნა: მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის, სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის, საუბნო გზების მოწესრიგების, სასაფლაოების მოვლა-პატრონობის, მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობისა და სპორტული ინვენტარის შეძენის, კულტურის სახლების ფუნქციონირების აღდგენის, დემოგრაფიული და სხვა სოციალური პრობლემების მოგვარების საკითხები.

მიმდინარე წელი გამოვაცხადეთ სასმელი წყლის დრენაჟებისა და მილგაყვანილობის ქსელების სრული რეაბილიტაციის წლად. ამ საქმისათვის მუნიციპალური და რეგიონალური განვითარების ფონდებიდან გამოიყო მილიონ ლარზე მეტი. რომელიც ყველა სოფლებზე გადავანაწილეთ და ამჟამადაც მიმდინარეობს წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სამწუხაროდ დღემდე გადაუჭრელ პრობლემად იქცა სასმელი წყლის ხარისხის ამაღლების ღონისძიებების გატარება. არც ერთი სოფლის წყალსადენის სათავე ნაგებობებს არ გააჩნია ტიპიური საქლორატორები, მათი ტერიტორიების ერთი ნაწილი დაუცველია. აღსანიშნავია ისიც, რომ არსებული ქლორის პირობებშიც კი იშვიათად ხდება სასმელი წყლის მარტივი საშუალებებით დაქლორვა, რაც ამ საქმის პასუხისმგებელმა სამსახურებმა უნდა გაითვალისწინონ, მითუმეტეს ქალაქში ეს საკითხები მოგვარებულია.

საკრებულოს წევრების მიერ ხშირად ისმის კრიტიკული შენიშვნები ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად ჩასატარებელ ტენდერებში ადგილობრივი იურიდიული თუ ფიზიკური პირების არ მონაწილეობისა და შესრულებული სამუშაოთა ხარისხის შესახებ. ამ საკითხის შესწავლის მიზნით შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი (ზ. რაიბული), რომელმაც კვალიფიციური დასკვნა წარმოადგინა ამ საქმეში არსებული მდგომარეობის შესახებ. საკრებულოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად, გარკვეულ წილად გაუმჯობესდა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და შესრულებული სამუშაოთა ხარისხი. საკრებულოს წევრებისა და ადგილობრივ საზოგადოებრივ საბჭოების მიერ ფაქტობრივად ყოველდღიური კონტროლი იყო დაწესებული სამუშაოების მიმდინარეობაზე, მაგრამ ჩვენს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ჯეროვნად მაინც არ ხორციელდება.

ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი სატენდერო კომისიის მუშაობაში საკრებულოს წარმომადგენლის ჯეროვანი მონაწილეობა, მიმდინარე სამუშაოებში ადგილობრივი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება, კვლავ აქვს ადგილი ტენდერებში გამარჯვებული ორგანიზაციების მიერ შესასრულებელი სამუშაოების გაჭიანურებას და სხვა.

მიმდინარე წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათალისწინებული პროექტების განსახორციელებლად ბიუჯეტიდან 911 000 ლარი გამოიყო. სოფლის მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცა თვითონ გადაეწყვიტათ შესასრულებელ სამუშაოთა პრიორიტეტები და თვითონვე მიეღოთ მონაწილეობა ამ სამუშაოებში, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგჯერ ამ მიმართულებით ადგილი აქვს სტიქიურ პროცესებს, სოფლებში ჩატარებულ კრებებს მხოლოდ 50-60 კაცი თუ ესწრებოდა, რაც მთელი მოსახლეობის 2% -ს არ შეადგენს. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც ზოგჯერ არ შეესაბამებოდა სოფლის რეალურ საჭიროებას. მაშინ, როცა სოფლების უმეტესობას საზოგადოებრივი ტუალეტები არ გააჩნია და გამგეობის წარმომადგენლების ოფისები წლობით არ გარემონტებულა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხები უფრო ნაკლები აუცილებლობის საკითხების მოგვარებას ხმარდება, მაგალითად რუისპირში, სადაც ორი სტადიონი უკვე ქონდათ, პროგრამით დამატებით მოედნების გაკეთება გადაწყვიტეს, რომლებიც დღესაც გამოუყენებელია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული სხვადასხვა პროექტების - იყალთოს „ქვევრის სახლის“, შუამთის გზის მიმდებარე ტერიტორიის რეკრეაციული ზონის შექმნის დაფინანსება, რისთვისაც 3 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი.

თვითკრიტიკულად უნდა ვაღიაროთ, რომ საკრებულო და მისი ცალკეული დეპუტატები ჯეროვან ყურადღებას არ ვუთმობთ ადგილობრივი თვითმმართველიბის კოდექსით გათვალისწინებულ ისეთ საქმიანობას, რომელიც მოსახლეობას საზოგადოებრივი აქტიურობისა და მათი პერსონალური მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლებას უნდა ემსახურებოდეს. ჩვენი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლად არსებული ისეთი პრობლემების მოგვარებას, როგორიცაა სანიტარული დასუფთავება, საუბნო გზებისა და სანიაღვრე არხების მოწესრიგება, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის სავარგულებთან მისასვლელი გზების კეთილმოწყობა, სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია და სხვა სამუშაოები, მხოლოდ ხელისუფლებისგან ითხოვს, რომელსაც ყოველთვის არ გააჩნია საამისო ფინანსური და მატერიალური საშუალებები. სოფლებში არსებობს სხვადასხვა კერძო საწარმოები და არც ეკონომიურად შეძლებული ოჯახების ნაკლებობას განვიცდით, რომლებიც ამ პრობლემების მოგვარებას თავიაანთ

მოვალეობად უნდა თვლიდნენ. გასული წლის მონაცემებით მოსახლეობის შემოსავალმა მარტო ყურძნიდან 32 მლ. ლარს გადააჭარბა. მათგან ბევრმა 50-100 ათასზე მეტი ლარის შემოსავალი მიიღო, მაშინ როცა ზოგიერთი მათ ნაკვეთებში მისავალი გზის შესაკეთებლად რამდენიმე რეისი ხრეშის მიტანას ხელისუფლებისგან ითხოვს. ალბათ დამეთანხმებით, ვისაც ევროპის ქვეყნებში მოუწია ყოფნა, ეს პრობლემა როგორ კარგად არის მოგვარებული. ევროპულ ქვეყნებში თვითმმართველობის საქმიანობის გაცნობის დროს ვნახე ადგილობრივი ბიზნესმენები და ცალკეული მოქალაქეები როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებიან იმ ტერიტორიული ერთეულების კეთილმოწყობის საკითხებს, სადაც თვითონ უწევთ ცხოვრება და საქმიანობა.

თვითმმართველობის პროცესში მოსახლეობის აქტიური მონაწილეობის მიზნით საკრებულოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციის შესაბამისად მუნიციპალიტეტის სოფლებში შეიქმნა საზოგადოებრივი საკონსულტაციო საბჭოები, სადაც გაერთიანდნენ საზოგადოების ის წარმომადგენლები, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია და სურვილი საზოგადოებრივ საწყისებზე, ანაზღაურების გარეშე მოსახლეობის სტატუსით დაიცვან სოფლის ინტერესები, სწორედ მათი აქტიური პოზიციის შედეგი იყო, რომ მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით მუნიციპალურ საკუთრებაში დარჩა ნაფარეულის, წინანდლის, სანიორის, კონდოლის და სხვა სოფლების საპრივატიზაციო აუქციონზე გატანილი მიწის სავარგულები და შენობა-ნაგებობები, თუმცა კვლავ აქვს ადგილი მოსახლეობის ინტერესების იგნორირებით სახელმწიფო ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანის მცდელობებს, როგორც ეს მაგალითად ართანაში მოხდა, როცა აუქციონზე ისე გაიტანეს სოფლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მიწის ნაკვეთები, რომ სოფლის მაჟორიტარ დეპუტატსაც კი არ გააგებინეს და მისი შეჩერება, მხოლოდ საკრებულოს აქტიური ჩარევით მოხდა. დღეს კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებს და საკრებულოს დეპუტატებს, რომ ადგილზე მისაღები გადაწყვეტილებები აუცილებლად შესაბამისი სოფლების ინტერესებიდან უნდა გამოდიოდეს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიწათსარგებლობის საქმეში, როგორც ქვეყნის მასშტაბით ასევე ჩვენს სოფლებშიც კვლავ არასახარბიელო ვითარებაა შექმნილი. მოსახლეობის მიერ პრივატიზაციის შედეგად მიღებული მიწის ნაკვეთების ნახევარზე მეტი საჯარო რეესტრში ჯერაც არ არის დარეგისტრირებული, რაც მნიშვნელოვან წილად არასრულად გაცემული დოკუმენტაციის ბრალიცაა. ამ მიმართულებით მეტად დაძაბული მუშაობა უწევს საკრებულოს მიწის საკუთრების უფლების აღიარების კომისიას (ზ. ზაზაშვილი). განვლილი ერთი წლის განმავლობაში კომისიამ 184 განცხადება განიხილა, რომელთაგან დადებითად

გადაწყდა 144, უარი ეთქვა 11 მოქალაქეს, 29 განცხადება განხილვის პროცესშია. ამ მიმართულებით ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 63 262, ,87 ლარი შეადგინა.

სერიოზულ პრობლემებს ვაწყდებით ადრე 49 წლიანი იჯარით გაცემული ფართობების სახელმწიფოს მიერ აუქციონზე გასაყიდად გამოტანის დროს, რადგან ამ ნაკვეთებში ხშირ შემთხვევაში გაშენებულია ვენახი და სხვა მრავალწლიანი ნარგავები. აუქციონის დროს ირღვევა მათი უფლებები, რადგან ისინი გამოსყიდვის რაიმე პრივილეგიას არ ფლობენ, რაც სერიოზულ დაძაბულ ვითარებას ქმნის. კიდევ ერთხელ ვთხოვთ საქართველოს პარლამენტს მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტი ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

სისტემატიური ხასიათი აქვს საკრებულოს წევრებისა და მუნიციპალიტეტის გამგეობის პასუხისმგებელი პირების შეხვედრებს ამომრჩევლებთან. საკრებულოს ბიუროს გასვლითი სხდომა ჩატარდა თეთრიწყლების თემში შემავალი მთის სოფლებში: პანტიანში და სეროდანში. მოსახლეობის მიერ დაყენებულ საკითხებს და მათ მიერ წარმოჩენილ პრობლემებს ანალიზი უკეთდება და სათანადო რეაგირებისათვის ეგზავნებათ შესაბამის სამსახურებს, რომლის დროსაც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დადებითად გადაწყდა, მაგრამ არც თუ ცოტაა სათანადო რეაგირების გარეშე დატოვებული საკითხებიც, რასაც შემდგომში მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ საკრებულოს მუდმივმა კომისიებმა და გამგეობის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელებმა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი მოსახლეობა ჯერ კიდევ ნაკლებად არის ინფორმირებული იმ კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, რაც თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურების მიერ ხორციელდება, რის გამოც გარკვეული ძალები მხოლოდ არსებულ ნაკლოვანებებზე აპელირებენ და ცდილობენ მას პოლიტიკური ელფერი შესძინონ. სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორების მცდელობაა საკრებულოს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემის შესახებ. ყველა დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს მისი საშუალებით გაეცნოს ჩვენს მიერ გაწეულ საქმიანობას და იმ პრობლემებს, რის გადაწყვეტასაც ხალხი მოითხოვს.

ჩვენგან განსაკუთრებულ ყურადღებასა და მზრუნველობას საჭიროებს ახალგაზრდობასთან მუშაობა. მათი სპეციალობებისა და შესაძლებლობების მიხედვით დასაქმება ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ახალგაზრდების უმრავლესობა თვითდასაქმებითაა დაკავებული, იმის გაკეთება მაინც გვმართებს, რომ სოფლად მცხოვრებ ახალგაზრდებს სათანადო პირობები ჰქონდეთ შექმნილი კულტ - მასობრივ და სპორტულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა დასახული და

ბიუჯეტიდანაც საამისოდ გამოყოფილი თანხები რამდენჯერმე აღემატება წინა წლების მაჩვენებლებს. დავაფუძნეთ მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (შ. ლაჩაშვილი). სოფლების უმეტესობაში აღდგა კულტურის სახლების ფუნქციონირება, რომლებიც წლების განმავლობაში გამოკეტილი იყო. სოფელ ლაფანყურს კულტ-მასობრივი და სპორტული მუშაობისათვის სარგებლობის უფლებით გადაეცა ყოფილი სკოლის 4 ოთახი. აქვე გაიხსნება ბიბლიოთეკა, რომელიც წლების განმავლობაში გაუქმებული იყო. ჩამოყალიბდა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, სისტემატიურად ტარდება მასობრივი ღონისძიებები.

ჩვენი სოფლების სინამდვილეში პირველი შემთხვევაა, როცა ტრადიციულ რელიგიურ დღესასწაულებში ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურ თანადგომას გამოხატავს და უშუალო მონაწილეობას იღებს. დღესასწაულების ორგანიზებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხებიც გამოიყო. ამ დღეს ტარდება ადგილობრივი თვითმოქმედი კოლექტივების გამოსვლები სპორტული შეჯიბრებები და სხვა. მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით ტარდება აგრეთვე სახალხო დღესასწაულები - იყალთოში „შოთაობა“, წინანდალში „ალექსანდრეობა“, ლაფანყურში „ვაჟაობა“ და სხვა. ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. კულტურის სახლები არ არის ქვ. ხოდაშენში, შალაურში, ყარაჯალაში, ლაფანყურში, სანიორეში, და ნაფარეულში. სადაც არის, იქაც ნაკლებად არიან ახალგაზრდები ჩართულნი. აკლიათ ინვენტარი და ინსტრუმენტები, ნაკლებად ტარდება ადგილობრივი მხატვრული თვითშემოქმედების კონცერტები და სხვა მასობრივი ღონისძიებები.

მიმდინარე წელს სპორტული საქმიანობისათვის 362 100 ათასი ლარი გამოიყო. აღსანიშნავია, რომ უკვე გვყავს საერთაშორისო დონის სპორტსმენები - მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ჭიდაობაში კონდოლელი ვახტანგ ჩიდრაშვილი, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ვარდისუბნელი ტატო მოსახლიშვილი და სხვები. შეიქმნა სპორტული გაერთიანება (ა.იმერლიშვილი), სოფლების უმეტესობაში შეიქმნა ფეხბურთის, რაგბის, ფრემბურთის, უშუს, მკლავჭიდის, ჭიდაობის სასწავლო-საწვრთნელი ჯგუფები, სადაც 600-ზე მეტი მოზარდი ვარჯიშობს და რომლებსაც კვალიფიციური მწვრთნელები ხელმძღვანელობენ. შეძენილ იქნა 12 000 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი და სხვა. რა თქმა უნდა ბავშვთა სპორტულ საქმიანობაში მასობრივი ჩაბმა მისასალმებელი ფაქტია, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სოფლებში სპორტული საქმიანობა თითქმის ჩაშლილია. ბევრგან მარტივი ტიპის სპორტული მოედნები მწყობრიდან არის გამოსული, არ გააჩნიათ სპორტული ინვენტარი, არ ტარდება სპორტული ღონისძიებები და სხვა. საგულისხმოა ისიც, რომ სოფლებში ამ საქმის პერსონალური პასუხისმგებლობა ფაქტობრივად არავის არ აქვს დაკისრებული, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურის მიერ ჩატარებული ღონისძიებები, მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და საამისოდ გამოყოფილი თანხები მინიმალურ საჭიროებებსაც

ვერ აკმაყოფილებს. არასწორად მიგვაჩნია ისიც, რომ სპორტული გაერთიანების აქცენტი მხოლოდ ბავშვებთან მუშაობაზეა გადატანილი, ხოლო სოფლის ახალგაზრდებთან არავითარი მუშაობა არ წარმოებს, რასაც შესაბამისი დებულება ავალდებულებთ. ამ პრობლემების მოგვარებას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს.

საკრებულოს სერიოზული აქცენტები აქვს გადატანილი სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი მოზარდი თაობის აღზრდისათვის. საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების (გ. კოჭლოშვილი) 22 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში კონტიგენტი 1000 ბავშვს აღემატება. მათი სწავლა-აღზრდის მიმართულებით 1,4 მილიონ ლარზე მეტი იქნა გამოყოფილი. პედაგოგ - აღმზრდელების ხელფასები 20%-ით გაიზარდა. საბავშვო ბაგა-ბაღებს დაემატა გახანგრძლივებული ჯგუფები, მკვეთრად გაუმჯობესდა მათი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა.

გულწრფელი მადლობა გვეთქმის არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ: კერძოდ „ვორლდ ვიჟენის“ მიერ ქველმოქმედების წესით ევროსტანდარტების დონეზე გარემონტდა სანიორის საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა, ხოლო თურქულმა კომპანია „ტიკა“-მ ფაქტობრივად მთლიანად განაახლა ყარაჯლის ბაგა-ბაღის შენობა და მისი ტერიტორია. საკუთარი ძალებით შევძელით კურდღელაურში საბავშვო ბაგა-ბაღის შეკეთება და ფუნქციონირების აღდგენა, რომელიც წლების განმავლობაში გაუქმებული იყო. ყველა სოფლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანადაფინანსებით უახლოეს პერიოდში მოხდება შალაურის გაუქმებული საბავშვო ბაგა-ბაღის აღდგენა და ფშაველში ახალი შენობის აშენება. ვფიქრობთ ეს პრობლემა ნასამხრალშიც მოვაგვაროთ, სადაც წლების განმავლობაში საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს.

საკრებულოს საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება წარმოადგენს. ავადმყოფთა ოპერაციების დაფინანსების, წამლებით უზრუნველველყოფის, ომის ვეტერანთა და ომში დაღუპულთა ოჯახების, მრავალშვილიანი და ახალშობილი ოჯახების დასახმარებლად გამოყოფილი 423 ათასი ლარიდან განვლილ პერიოდში ათასზე მეტ ჩვენს მოქალაქეს გაეწია დახმარება. სასიხარულოა იმის აღნიშვნაც, რომ ამავე პერიოდში მნიშვნელოვნად მოიმატა შობადობამ.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 20 ათასი ლარით დაფინანსდა თვითმმართველი თემში მცხოვრები სოციალურად დაუცველი და წარმატებული 31 ბავშვის ბაკურიანის საზაფხულო ბანაკში დასვენება. 4500 ლარით დაფინანსდა ლალისყურში მცხოვრები გენდა და ლია ქოთილაიძეები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს იტალიაში თექის ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაში.

ჩვენს განსაკუთრებულ მოვალეობად მივიჩნევთ კულტურისა და ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 30 ათასი ლარით დავაფინანსეთ VIII-IX საუკუნეების ისტორიული ვანთის სასახლის კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების წარმოება, რომელიც თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობით ტარდება. 4 ათასი ლარი გამოიყო მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ისტორიული ძეგლების ნუსხის შესადგენად და შესაბამისი გზამკვლევის გამოსაცემად. ყველა წინაპირობას ვქმნით, რომ მომავალი წლიდან ჩვენს მუნიციპალიტეტს დამატებითი ტურისტული მარშრუტები შეემატოს.

მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში, გარდა ლაფანყურისა, სასოფლო ბიბლიოთეკები ფუნქციონირებს. დავაარსეთ საბიბლიოთეკო გაერთიანება (თ.ყურაშვილი). სისტემატიურად ხდება წიგნების ფონდის შევსება, გამოწერილია ჟურნალ-გაზეთები. მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ ჩვენს ბიბლიოთეკებში განხორციელებული საპილოტე პროექტი - „კომპიუტერი და ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“. ასოციაციის პრეზიდენტი ქალბატონი რუსუდან ასათიანი პირადად გვესტუმრა და ბიბლიოთეკებს საჩუქრად გადასცა 15 კომპიუტერი და პრინტერი. ჩვენი ძირითადი ამოცანა ახლა ის არის, რომ ინტერნეტი ხელმისაწვდომი გავხადოთ სოფლის ყველა მაცხოვრებლისათვის, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის, რომლებსაც საშუალება უნდა ჰქონდეთ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ისარგებლონ ბიბლიოთეკებში არსებული კომპიუტერული ტექნიკით.

მისასალმებელია აგრეთვე საბიბლიოთეკო გაერთიანების ინიციატივა სოფლის ბიბლიოთეკების მიერ გაცვლითი და ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ახალგაზრდების არამარტო შემეცნებით და ინტელექტუალურ პროცესებში აქტიურ ჩართვას, არამედ მეზობელი სოფლების ახალგაზრდობის ერთმანეთთან დაახლოებას.

საკრებულოს კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებულ საქმიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მუდმივი კომისიების კარგად ორგანიზებული და ეფექტური მუშაობა. საკრებულოში არსებული ხუთი მუდმივი კომისია ყოველთვის პრინციპულად უდგება საკრებულოს მიერ მისაღები დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების პროექტების წინასწარ განხილვას და მათში შესაბამისი კორექტირების შეტანას. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მუდმივი კომისიები ნაკლებად ინტერესდებიან საკუთარი ინიციატივით შეისწავლონ თავიანთ სამოქმედო სფეროში არებული პრობლემები და საკითხები შემოიტანონ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად. განვლილი ერთი წლის განმავლობაში საკრებულოს სხდომებზე განსახილველად ინიცირებულია მხოლოდ 17 საკითხი.

საკრებულოში ფუნქციონირებს 6 ფრაქცია, როგორც პოლიტიკურ ფორმირებებზე, მათ საქმიანობაზე ჩვენი ზემოქმედება გამორიცხულია, განვლილი წლის განმავლობაში მათ მიერ საკრებულოში განსახილველად ინიცირებულია მხოლოდ 5 საკითხი, მ.შ. ფრაქცია „ქართული ოცნება“ -3 , ფრაქცია „დემოკრატები“- 2,

განვლილ პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარესთან იმყოფებოდა 350 მოქალაქე, შემოვიდა 89 განცხადება, მ.შ. 11 კოლექტიური . მოქალაქეები ძირითადად ითხოვენ შრომით მოწყობას, სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი ბინების შეკეთებას, სადაო მიწის ნაკვეთების შემოწმებას, საცხოვრებელ სახლებთან სანიაღვრე არხების მოწყობას და სხვა საკითებს. ყველა მათგანს შესაძლებლობის ფარგლებში გაეწია სათანადო დახმარება და მიეცა სათანადო რეკომენდაციები.

ამავე პერიოდში ქვეყნის ხელიუფლების სხვადასხვა სტრუქტურებიდან შემოსულია 227 მომართვა, ყველა მათგანზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება. საკრებულოდან სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გაიგზავნა 174 წერილი. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულია 122 ბრძანება,

კომისიების და ფრაქციების სახელზე სულ შემოსულია 22 მომართვა, სხვადასხვა ორგანიზაციებში გაიგზავნა 26 წერილი.

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და ცალკეული მოქალაქეებიდან შემოსულია 26 განცხადება, ყველა მათგანზე გაიცა შესაბამისი ინფორმაცია, რომლებიც ეხებოდა საკრებულოს მიერ გამოცემულ ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, საკრებულოს სხდომის ოქმებს, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულ ბრძანებებს - თანამდებობის პირების მიერ მოქალაქეთა მიღების გრაფიკს, საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩევლების მიღების გრაფიკს, ამომრჩევლებთან შეხვედრის ოქმებს და სხვა.

პატივცემულო კოლეგებო! მე კარგად მაქვს გააზრებული, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი ანგარიშში წარმოჩენილი საკრებულოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები და დღემდე გადაუჭრელი პრობლემები პირდაპირ კავშირშია, ჩემი როგორც საკრებულოს თავმჯდომარის პერსონალურ პასუხისმგებლობასთან. ვცდილობ მაქსიმალურად გამოვიყენო ყველა ის შესაძლებლობა, რაც ჩემი კომპეტენციის ფარგლებშია. პრაქტიკულ საქმიანობაში ვითვალისწინებ იმ გამოცდილებას, რომელიც წლების განმავლობაში წინანდლის სოფლის საკრებულოს წევრად ყოფნის დროს შევიძინე. მინდა ავღნიშნო ისიც, რომ განვლილი ერთი წლის

განმავლობაში თქვენგანაც ბევრი რამ ვისწავლე. თქვენთან ერთად მიწევს თვითმმართველობის საკითხებზე სხვადასხვა კონფერენციებში და ტრენინგებში მონაწილეობა. გამოცდილების გაზიარების მიზნით, როგორც საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის დელეგაციის წევრი, ვიმყოფებოდი ლიტვაში. საქმიანი ურთიერთობები გვაქვს პოლონეთისა და ბელარუსიის თვითმმათველობებთან, რომლებთანაც ვაწყობთ დელეგაციების გაცვლას. აღსანიშნავია ისიც, რომ საკრებულოს ცალკეული წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ღონისძიებებში.

მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს ყველა თანამშრომელს, მოწვეულ სპეციალისტებს და დეპუტატებს განვლილი ერთი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისათვის. ჩვენი საკრებულოს და გამგეობის ერთიანობა სამაგალითოა არა მარტო კახეთში, რაც ძალიან სასიხარულოა.

ყოველივე ზემოაღნიშნული მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ მომავალში ჩვენი ერთობლივი მუშაობა იქნება უფრო ეფექტური მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და თვითმმართველი თემის სოფლების აყვავების საქმეში.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი